

## ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 24 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 550,0 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შვიდჯერ იქნა შეტანილი ცვლილება და შემოსულობები დაზუსტდა 18434,6 ათასი ლარის, გადასახდელები 21413,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით.

**მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>შემოსავლები</b>	<b>18184.6</b>	<b>9004.5</b>	<b>9180.1</b>	<b>18406.2</b>	<b>8954.9</b>	<b>9451.3</b>	<b>101.2%</b>
გადასახდებები	8275.0	0.0	8275.0	8607.9	0.0	8607.9	104.0%
გრანტები	9454.5	9004.5	450.0	9404.9	8954.9	450.0	99.5%
სხვა შემოსავლები	455.1	0.0	455.1	393.4	0.0	393.4	86.4%
<b>ხარჯები</b>	<b>9801.4</b>	<b>649.7</b>	<b>9151.7</b>	<b>9708.0</b>	<b>600.4</b>	<b>9107.6</b>	<b>99.0%</b>
შრომის ანაზღაურება	2666.5	90.0	2576.5	2664.4	90.0	2574.4	99.9%
საკონელი და მომსახურება	1599.5	484.7	1114.8	1541.3	435.4	1105.9	96.4%
პროცენტი	27.6	0.0	27.6	27.5	0.0	27.5	99.6%
სუბსიდიები	4567.0	75.0	4492.0	4541.5	75.0	4466.5	99.4%
გრანტები	11.3	0.0	11.3	11.3	0.0	11.3	100.0%
სოციალური უზრუნველყოფა	802.7	0.0	802.7	795.3	0.0	795.3	99.1%
სხვა ხარჯები	126.8	0.0	126.8	126.7	0.0	126.7	99.9%
საოპერაციო საღდო	8383.2	8354.8	28.4	8698.2	8354.5	343.7	103.8%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11306.4	10853.7	452.7	10349.8	9980.4	369.4	91.5%
ზრდა	11556.4	10853.7	702.7	10577.1	9980.4	596.7	91.5%
კლება	250.0	0.0	250.0	227.3	0.0	227.3	90.9%
მთლიანი საღდო	-2923.2	-2498.9	-424.3	-1651.6	-1625.9	-25.7	56.5%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2978.8	-2498.9	-479.9	-1707.2	-1625.9	-81.3	57.3%
კლება	2978.8	2498.9	479.9	1707.2	1625.9	81.3	57.3%
ვალუტა და დეპოზიტები	2978.8	2498.9	479.9	1707.2	1625.9	81.3	57.3%
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	100.0%
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%
საშინაო	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>83.9%</b>

**მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>შემოსულობები</b>	<b>18434.6</b>	<b>9004.5</b>	<b>9430.1</b>	<b>18633.5</b>	<b>8954.9</b>	<b>9678.6</b>	<b>101.1%</b>
შემოსავლები	18184.6	9004.5	9180.1	18406.2	8954.9	9451.3	101.2%
არაფინანსური აქტივების კლება	250.0	0.0	250.0	227.3	0.0	227.3	90.9%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
გადასახდელები	21413.4	11503.4	9905.0	20340.7	10580.8	9759.9	95.0%
ხარჯები	9801.4	649.7	9146.7	9708.0	600.4	9107.6	99.0%

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების ზრდა	11556.4	10853.7	702.7	10577.1	9980.4	596.7	91.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%
ნაშთის ცვლილება	-2978.8	-2498.9	-474.9	-1707.2	-1625.9	-81.3	57.3%

### მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 18184,6 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში მოხილვებულია 18406,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,2% -ს შეადგენს.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	18184.6	9004.5	9180.1	18406.2	8954.9	9451.3	101.2%
გადასახადები	8275.0	0.0	8275.0	8607.9	0.0	8607.9	104.0%
გრანტები	9454.5	9004.5	450.0	9404.9	8954.9	450.0	99.5%
სხვა შემოსავლები	455.1	0.0	455.1	393.4	0.0	393.4	86.4%

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

გადასახადების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 8275,0 ათასი ლარით, განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 8607,9 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 104,0 % -ია.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	8275.0	0.0	8275.0	8607.9	0.0	8607.9	104.0%
ქონების გადასახადი	350.0	0.0	350.0	394.8	0.0	394.8	112.8%
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	250.0	0.0	250.0	278.1	0.0	278.1	111.2%
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	0.0	0.0	0.0	9.4	0.0	9.4	-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	75.0	0.0	75.0	77.5	0.0	77.5	103.3%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	25.0	0.0	25.0	29.8	0.0	29.8	119.2%
დამატებული ღირებულების გადასახადი	7925.0	0.0	7925.0	8213.1	0.0	8213.1	103.6%

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების 2022 წლის გეგმა 9454,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი იწარმოებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით. მიღებული დაფინანსება 9404,9 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 99,5%-ს.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	9454.5	9004.5	450.0	9404.9	8954.9	450.0	99.5%
მიზნობრივი ტრანსფერი	541.3	541.3	0.0	493.9	493.9	0.0	91.2%
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	165.0	165.0	0.0	165.0	165.0	0.0	100.0%
საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	376.3	376.3	0.0	328.9	328.9	0.0	87.4%
კაპიტალური ტრანსფერი	8463.2	8463.2	0.0	8461.0	8461.0	0.0	100.0%
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5240.9	5240.9	0.0	5240.8	5240.8	0.0	100.0%
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	580.0	580.0	0.0	580.0	580.0	0.0	100.0%

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	77.5	77.5	0.0	75.4	75.4	0.0	97.3%
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	2564.8	2564.8	0.0	2564.8	2564.8	0.0	100.0%
<b>სპეციალური ტრანსფერი</b>	<b>450.0</b>	<b>0.0</b>	<b>450.0</b>	<b>450.0</b>	<b>0.0</b>	<b>450.0</b>	<b>100.0%</b>
<b>სხვა სპეციალური ტრანსფერი</b>	<b>450.0</b>	<b>0.0</b>	<b>450.0</b>	<b>450.0</b>	<b>0.0</b>	<b>450.0</b>	<b>100.0%</b>

### მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 455,1 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 393,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 86,4%-ით.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>455.1</b>	<b>0.0</b>	<b>455.1</b>	<b>393.4</b>	<b>0.0</b>	<b>393.4</b>	<b>86.4%</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>245.1</b>	<b>0.0</b>	<b>245.1</b>	<b>194.1</b>	<b>0.0</b>	<b>194.1</b>	<b>79.2%</b>
პროცენტები	50.0	0.0	50.0	32.7	0.0	32.7	65.4%
რენტა	195.1	0.0	195.1	161.4	0.0	161.4	82.7%
<b>საქონლის და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>50.0</b>	<b>0.0</b>	<b>50.0</b>	<b>54.1</b>	<b>0.0</b>	<b>54.1</b>	<b>108.2%</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30.0	0.0	30.0	34.6	0.0	34.6	115.3%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.0	0.0	20.0	19.5	0.0	19.5	97.5%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	50.0	0.0	50.0	36.2	0.0	36.2	72.4%
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>110.0</b>	<b>0.0</b>	<b>110.0</b>	<b>109.0</b>	<b>0.0</b>	<b>109.0</b>	<b>99.1%</b>

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 9801,4 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 9708,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 99,0%-ია.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>ხარჯები</b>	<b>9801.4</b>	<b>649.7</b>	<b>9151.7</b>	<b>9708.0</b>	<b>600.4</b>	<b>9107.6</b>	<b>99.0%</b>
<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>2666.5</b>	<b>90.0</b>	<b>2576.5</b>	<b>2664.4</b>	<b>90.0</b>	<b>2574.4</b>	<b>99.9%</b>
<b>საქონელი და მომსახურება</b>	<b>1599.5</b>	<b>484.7</b>	<b>1114.8</b>	<b>1541.3</b>	<b>435.4</b>	<b>1105.9</b>	<b>96.4%</b>
პროცენტი	27.6	0.0	27.6	27.5	0.0	27.5	99.6%
სუბსიდიები	4567.0	75.0	4492.0	4541.5	75.0	4466.5	99.4%
გრანტები	11.3	0.0	11.3	11.3	0.0	11.3	100.0%
სოციალური უზრუნველყოფა	802.7	0.0	802.7	795.3	0.0	795.3	99.1%
<b>სხვა ხარჯები</b>	<b>126.8</b>	<b>0.0</b>	<b>126.8</b>	<b>126.7</b>	<b>0.0</b>	<b>126.7</b>	<b>99.9%</b>

### მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული გეგმა 11306,4 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 10349,8 ათასი ლარია, გეგმიური მაჩვენებლის 91,5%.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>11306.4</b>	<b>10853.7</b>	<b>452.7</b>	<b>10349.8</b>	<b>9980.4</b>	<b>369.4</b>	<b>91.5%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>11556.4</b>	<b>10853.7</b>	<b>702.7</b>	<b>10577.1</b>	<b>9980.4</b>	<b>596.7</b>	<b>91.5%</b>
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>250.0</b>	<b>0.0</b>	<b>250.0</b>	<b>227.3</b>	<b>0.0</b>	<b>227.3</b>	<b>90.9%</b>

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა თანდართული რეადაქციით:

კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
7.0	სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	21413.4	11503.4	9910.0	20340.7	10580.8	9759.9	95.0%
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3568.7	0.0	3568.7	3563.1	0.0	3563.1	99.8%
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3568.7	0.0	3568.7	3563.1	0.0	3563.1	99.8%
7.2	თავდაცვა	137.6	90.0	47.6	136.1	90.0	46.1	98.9%
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	137.6	90.0	47.6	136.1	90.0	46.1	98.9%
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8981.8	8309.1	672.7	8430.5	7819.7	610.8	93.9%
7.4.5	ტრანსპორტი	8915.8	8309.1	606.7	8366.2	7819.7	546.5	93.8%
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	66.0	0.0	66.0	64.3	0.0	64.3	97.4%
7.5	გარემოს დაცვა	649.9	4.9	645.0	644.6	0.0	644.6	99.2%
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	645.0	0.0	645.0	644.6	0.0	644.6	99.9%
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4.9	4.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2520.1	2245.6	274.5	2127.2	1898.4	228.8	84.4%
7.6.4	გარე განათება	208.0	0.0	208.0	205.6	0.0	205.6	98.8%
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2312.1	2245.6	66.5	1921.6	1898.4	23.2	83.1%
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	110.0	75.0	35.0	108.7	75.0	33.7	98.8%
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	110.0	75.0	35.0	108.7	75.0	33.7	98.8%
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1771.6	2.9	1768.7	1754.4	0.0	1754.4	99.0%
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	695.9	2.9	693.0	681.4	0.0	681.4	97.9%
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	975.7	0.0	975.7	973.0	0.0	973.0	99.7%
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0%
7.9	განათლება	2831.7	775.9	2055.8	2741.9	697.7	2044.2	96.8%
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2364.2	308.4	2055.8	2339.3	295.1	2044.2	98.9%
7.9.2	ზოგადი განათლება	467.5	467.5	0.0	402.6	402.6	0.0	86.1%
7.1	სოციალური დაცვა	842.0	0.0	842.0	834.2	0.0	834.2	99.1%
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	513.4	0.0	513.4	513.4	0.0	513.4	100.0%
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	100.0%
7.10.3	მარჩნალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	22.5	0.0	22.5	22.5	0.0	22.5	100.0%
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103.5	0.0	103.5	103.4	0.0	103.4	99.9%
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	49.4	0.0	49.4	49.3	0.0	49.3	99.8%
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	146.2	0.0	146.2	138.6	0.0	138.6	94.8%

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს 2022 წლის შესრულების მაჩვენებელმა 8698,2 ათასი ლარი, ხოლო მთლიანი სალდოს მაჩვენებელმა -1651,6 ათასი ლარი შეადგინა.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
საოპერაციო სალდო	8383.2	8354.8	28.4	8698.2	8354.5	343.7	103.8%
მთლიანი სალდო	-2923.2	-2498.9	-424.3	-1651.6	-1625.9	-25.7	56.5%

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების პერიოდის შესრულების მაჩვენებელი -1707,2 ათასი ლარია. ფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი სახაზინო ანგარიშებზე 2978,9 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საბოლოო ნაშთი 1271,6 ათასი ლარია.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2978.8	-2498.9	-479.9	-1707.2	-1625.9	-81.3	57.3%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
ფინანსური აქტივების კლება	2978.8	2498.9	479.9	1707.2	1625.9	81.3	
ფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი	2978.8	2498.9	479.9	2978.8	2498.9	479.9	
ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი	0.0	0.0	0.0	1271.6	873.0	398.6	

### მუხლი 12. ვალდებულებების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების შესრულების მაჩვენებელი -55,6 ათასი ლარია, გეგმის 100.0%.

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	100.0%
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%

### მუხლი 13. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

#### 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების გეგმა განისაზღვრა 11440,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ გეგმის 91,7%, 10493,4 ათასი ლარი შეადგინა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმარტებას საჭიროებს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს. აღნიშნული ასიგნების ფარგლებში ასეთი შეუსაბამობა არსებობს საბიუჯეტო პროგრამაზე „სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია“, რაც განპირობა იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული ასიგნება ითვალისწინებდა შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას და შესაბამისად, 2022 წელს საკასო შესრულება ვერ განხორციელდებოდა.

#### 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

**აღწერა:** საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსებას, მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და პროექტის ზედამხედველობას, ხოლო ძირითადი პროექტები ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით.

**მიზანი:** მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, გადაადგილების დროის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



**შესრულება:** 2022 წელს გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 8137,2 ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 7686,6 ათასი ლარია, წლიური გეგმის 94,5%-ია. რეაბილიტირდა ქ. ვანის, ზეინდრის, ბზვანის, დიხაშხოს, ციხესულორის, შუამთის, ამალეების, ზედავანის, სალხინოს და გორას შიდა საუბნო საავტომობილო გზები. დასრულდა სალომინაოს, ზედავანის, მუქედის, ძულუხის, სალხინოს, ფერეთას, შუამთა-ქედის და ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

#### **02 02 ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობის დაცვას დატბორვისგან. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

**მიზანი:** მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის შესაძლო წყალმოვარდნებისაგან დაცვა, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

**შესრულება:** 2022 წლის ასიგნება 4,9 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, საკასო ოპერაცია არ განხორციელებულია, ვინაიდან ასიგნება წარმოადგენდა საგარანტიო პერიოდის უზრუნველყოფის თანხებს.

#### **02 03 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

#### **02 04 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**აღწერა:** ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში განათების სისტემის ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები ხმარდება ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

**მიზანი:** ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

**შესრულება:** პროგრამის ასიგნებები მოხმარდა ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას, საკასო შესრულება 205,6 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 208,0 ათასი ლარის 98,8%-ია.

#### **02 05 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

**აღწერა:** პროგრამით განხორციელდა ქალაქ ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყეპარკის, ყოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე პარკისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოების დაფინანსება.

**მიზანი:** მოსახლეობისათვის სარეკრეაციო, დასასვენებელი და გასართობი სივრცეების შექმნა და გაუმჯობესება.

**შესრულება:** ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსებისათვის 2312,1 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 1921,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 83,1%-ია. ყიფიანის ტყეპარკის სამუშაოების დასრულება 2023 წელსაა განსაზღვრული, შესაბამისად, გეგმის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა.

#### **02 06 სოფლის განვითარების ხელშეწყობა**

**აღწერა:** სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდა მოსახლეობის მიერ კრებებზე გამოთქმული სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები.

**მიზანი:** მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

**შესრულება:** სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების

შესაბამისად, განხორციელდა სხვადასხვა სახის 100-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი. გაწეული ხარჯი 679,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის 778,6 ათასი ლარის 87,3%-ია.

#### **02 07 სამოქალაქო ბიუჯეტი**

#### **03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა**

პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბიუჯეტო პროგრამები. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვრა 645,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 644,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 99,9% -ია.

#### **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა**

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ვანის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელზე გატანას, რომელსაც ემსახურება სამი ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

**მიზანი:** ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების ლიკვიდაცია.

**შესრულება:** კომუნალური გაერთიანების დაფინანსების წლიური მაჩვენებელი 645,0 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულება 644,6 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,1%-ია.

#### **03 02 დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

#### **04 00 განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების 2022 წლის ასიგნება განისაზღვრა 2831,7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2741,9 ათასი ლარი, გეგმის 96,8%.

#### **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება**

**აღწერა:** ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი.

**მიზანი:** საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

**შესრულება:** 2022 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 2050,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება 2039,3 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 99,5%, -ია.

#### **04 02 სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია**

**აღწერა:** დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირების 26 ბაღი, საშუალოდ ერთ ბაღში სწავლობს 30 აღსაზრდელი (მ.შ. გოგო 15, ბიჭი 15) მუნიციპალიტეტში საშუალოდ წლიურად ბაღის ასაკის მოსახლეობის რიცხვი არის 700, (მ.შ. გოგო 350; ბიჭი 350) ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობისათვის, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის ახორციელებს ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას, მათ

აღჭურვას სათანადო ინვენტარით. რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებულია როგორც ქალთა და მამაკაცი პერსონალის, ასევე აღსაზრდელი გოგოების და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების.

**მიზანი:** ბაგა-ბაღების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

**შესრულება:** პროგრამის განსახორციელებლად წლიური გეგმით 314,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 300,0 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 95,5%-ია. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ისრითში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

#### **04 03 საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა**

**აღწერა:** მუნიციპალიტეტი განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე ანხორციელებს საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლა, მომსახურებით სარგებლობს 25 სკოლის 878 მოსწავლე, მ.შ. 441 გოგო 437 ბიჭი. მომსახურებით სარგებლობს 11 შშმ პირი, მ.შ. 4 გოგო 7 ბიჭი. მოსწავლეებს კერძო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება მიკროავტობუსები 82 სხვადასხვა მარშრუტზე.

**მიზანი:** საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება.

**შესრულება:** პროგრამის განსახორციელებლად წლიური გეგმით 376,3 ათასი ლარი, ფაქტობრივად კი 328,9 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 87,4%-ია. აღსანიშნავია, რომ დეკემბრის თვის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება იანვრის თვეში, შესაბამისად, აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა შედარებით დაბალი საკასო შესრულება.

#### **04 04 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია**

**აღწერა:** მუნიციპალიტეტი განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე ანხორციელებს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

**მიზანი:** კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.

**შესრულება:** 2022 წელს განხორციელდა სსიპ მუქედის საჯარო სკოლის, სსიპ ზედა ვანის საჯარო სკოლის და სსიპ ფერეთას საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2022 წელს გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 91,2 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულების მაჩვენებელი 73,7 ათასი ლარია, წლიური გეგმის 80,8%.

#### **05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვრა 1771,6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1754,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 99,0%. პროგრამაზე - „სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ არ არის საკასო მაჩვენებელი რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული ასიგნება ითვალისწინებდა შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას.

#### **05 01 01 სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია**

**აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, კერძოდ, ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე



სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას; პროექტებს: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები.

**მიზანი:** სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელი წახალისება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამტკიცება. მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.

**შესრულება:** პროგრამაზე როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 12,0 ათასი ლარი მიიმართა.

#### **05 01 02 სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა**

**აღწერა:** სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

**შესრულება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 230,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 227,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 99,8%-ია.

#### **05 01 03 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა**

**აღწერა:** საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

**შესრულება:** საფეხბურთო კლუბ ვანის სულორს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 255,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 247,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 97,0%-ია.

#### **05 01 04 რაგბის განვითარების ხელშეწყობა.**

**აღწერა:** სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

**შესრულება:** სარაგბო კლუბ ვანის აიეტს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 195,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 194,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 99,7%-ია.

#### **05 02 01 კულტურის ღონისძიებების ორგანიზება**

**აღწერა:** ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია

სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები.

**მიზანი:** მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

**შესრულება:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკის, მუზეუმების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. გეგმიური დაფინანსების მოცულობა 520,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება 517,8 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 99,6%-ია.

#### **05 02 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

**აღწერა:** ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს.

**მიზანი:** მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

**შესრულება:** სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 412,0 ათასი ლარი გამოეყო, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 100,0%, 412,0 ათასი ლარი შეადგინა.

#### **05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

**აღწერა:** ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

**მიზანი:** ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

**შესრულება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ეპარქიის ასიგნებაზე როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 100,0 ათასი ლარი მიიმართა.

#### **05 03 კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება**

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; საახალწლო ილუმინაციების შესყიდვა.

**მიზანი:** ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

**შესრულება:** 2022 წლის ასიგნება 43,7 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 43,2 ათასი ლარი დაიხარჯა, წლიური გეგმის -98,9%.

#### **06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს უზრუნველყოფს დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც

უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის გეგმიური დაფინანსება განისაზღვრა 952,0 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 942,9 ათასი ლარი, გეგმის 99,0%

#### **06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა**

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

**მიზანი:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სანიტარული ღონისძიებები.

**შესრულება:** ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების წლიურმა გეგმამ 110,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულება 108,7 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 98,8%-ია.

#### **06 02 01 ახალშობილთა ოჯახების დახმარება**

**აღწერა:** ქვეპროგრამის ითვალისწინებს ახალშობილთა ოჯახების ფინანსურ დახმარებას: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენისას 350 ლარის, მესამე 400 ლარის, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. 1-70000-მდე სარეიტინგო ქულაზე დახმარების ოდენობა იზრდება 20%-ით.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

**შესრულება:** წლიურად დამტკიცებული ასიგნების მოცულობამ და საკასო ხარჯმა 72,7 ათას ლარი შეადგინა. პროგრამით ისარგებლა 199 ბენეფიციარმა.

#### **06 02 02 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

**აღწერა:** მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე ფინანსური დახმარების სახით იღებენ 100 ლარს. ხოლო ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000 მდე, 20%-ით მეტს.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

**შესრულება:** ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 30,7 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 30,0 ათასი ლარის 99,7%-ია. ისარგებლა 68 ბენეფიციარმა.

#### **06 02 03 სამედიცინო დახმარება**

**აღწერა:** ა) დახმარებით სარგებლობენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-150000-ის ჩათვლით. ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით სარგებლობენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა. დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით. **პირველ კატეგორიაში** შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები; **მეორე კატეგორიაში** შედიან: ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები; ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები; გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები. **მესამე კატეგორიაში** შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000 - ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 120000-ის ჩათვლით; გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები; **მეოთხე კატეგორიაში** შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 150000 -ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები; გ) 70 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები; დ) შშმ პირები. **მეხუთე კატეგორიაში** შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე. **პირველ კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს უნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. **მეორე კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, უნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. **მესამე კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს უნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. **მეოთხე კატეგორიის** მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა. **მეხუთე კატეგორიის** მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

**შესრულება:** პროგრამაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმართული იყო 360,7 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა წლიური გეგმის 100%, 360,7 ათასი შეადგინა. დაფინანსებით ისარგებლა 797 ბენეფიციარმა.

#### **06 02 04 ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება**

**აღწერა:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად

ყოველთვიურ ფულადი დახმარებას 200 ლარის ოდენობით. **ბ)** 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევას 250 ლარის ოდენობით. **გ)** 18 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევას 150 ლარის ოდენობით. **დ)** 18 წლამდე შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის მქონე ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევას 150 ლარის ოდენობით ე) ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე 100 ლარის ოდენობით.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

**შესრულება:** დაფინანსების გეგმის საერთო მოცულობა და საკასო ხარჯი 83,3 ათასი ლარით განისაზღვრა. პროგრამით ისარგებლა 51 ბენეფიციარმა.

#### **06 02 05 შშმ პირთა დახმარება**

